MES 3 16 00856981

12/07/2016

ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ქალბატონ ხათუნა მაჭარაშვილს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი N521007 წერილის საფუძველზე ჩატარდა ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის (ს/კ 01.72.14.024.214) ძველი ამორტიზებული შენობის ვიზუალური დათვალიერება.

სკოლის ძველი ორსართულიანი შენობა 04/2 (გაბარიტული ზომებით 18X67 მ) შედგება 1932 და 1965 წელს აშენებული ნაკვეთურებისაგან. შენობის კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. გადახურვები 1932 წელს აშენებულ ნაკვეთურში ხისაა. 1965 წელს აშენებულ ნაკვეთურში გადახურვები განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. შენობის სახურავი დაფარულია თუნუქით. შენობის ორივე ნაკვეთურის კედლები ცვეთაგანცდილი და დაბზარულია. ხის გადახურვები სრულადაა ამორტიზებული. ძველ ნაკვეთურში დაბზარულია თაღოვანი ზღუდარები. მიწისპირა სართულზე აყრილია ხის იატაკი. **სკოლის ძველი 04/2 შენობის აღდგენა დიდი ალბათობით არარენტაბელურია.**

სკოლის დირექტორის მოთხოვნით აგრეთვე ჩატარდა სკოლის ამორტიზებული საქვაბის 08/1 და სანკვანძის 07/1 შენობების ვიზუალური დათვალიერებაც.

საქვაბის შენობა 08/1 გეგმაში 7X13 მ ზომისაა. კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. შენობის კედლები ცვეთაგანცდილი, დაბზარული და ნაწილობრივ ჩამოშლილია. დახურვის ფილების არმატურა კოროზირებულია. **საქვაბის შენობა 08/1 ექვემდებარება დემონტაჟს.**

სანკვანძის შენობა 07/1 გეგმაში 3X6 მ ზომისაა. გარე სანკვანძის შენობიდან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ თეთრი აგურით ნაშენი ცვეთაგანცდილი კედლები. **სანკვანძის შენობა 07/1 ექვემდებარება დემონტაჟს.**

ზემოაღნიშნული შენობების დემონტაჟზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილის წარმოდგენის შემდეგ, სააგენტო დაამუშავებს 04/2, 08/1 და 07/1 შენობების დემონტაჟის პროექტს.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზი მაჩაიძე